საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გიორგი გზობავა</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ბადრი შონიას კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„30“ მაისი, 2024 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **ბადრი შონიას** კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წლის 30 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **ბადრი შონიას** კანდიდატურის წარდგენას.

ჩემს მიერ აღნიშნული კანდიდატის მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის-**ბადრი შონიას** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი-**ბადრი შონია** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო კანონით განსაზღვრული **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით, **ბადრი შონია** ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით, კერძოდ - **92 (92%)** ქულით *(იხ. ჩემი 2024 წლის 29 აპრილის შეფასება).*

ბადრი შონიას კანდიდატურის წარდგენაზე ჩემს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა (ყველა წევრმა) ასევე მიიჩნიეს, რომ კანდიდატი **ბადრი შონია** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით კანდიდატი შეფასდა **1392 ქულით**, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის **92,80%**-ით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რა, რომ კანდიდატი-**ბადრი შონია** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს** და მისი კანდიდატურა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას, მხარს ვუჭერ **ბადრი შონიას** კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა